



# სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრძანება



ქ. თბილისი

N 1590-02  
25/11/2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, 2015 წლის 24 ნოემბრის N35/2261 მინდობილობის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 სექტემბრის N10 და 2015 წლის 20 ნოემბრის №12 ოქმების საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2015 წლის 24 ნოემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი, კერძოდ:

ა) შინაგანი მედიცინის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **მიხეილ წვერავა**.

ბ) ნაწილაკთა ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ჯუანშერ ჯეჯელავა**.

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი.

3. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

თინათინ ქადაგიშვილი

რექტორის მინდობილი პირი